მაია მაჭავარიანი

მასმედიის ისტორია

საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა

თბილისი

2015

სახელმძღვანელო “მასმედიის ისტორია” არის სალექციო კურსი და განკუთვნილია საქართველოს უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა სკოლის ჟურნალისტიკისა და მასკომუნიკაციების მიმართულების სტუდენტებისთვის, აგრეთვე მასმედიის ისტორიით დაინტერესებული ყველა მკითხველთათვის და მისი შედგენილობაც ამ გარემოებითაა განპირობებული. სახელმძღვანელო წარმოადგენს მსოფლიოს წამყვანი ქვეყნებისა და საქართველოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ისტორიის ზოგად კურსს.

რედაქტორი: პროფესორი

თამაზ ბერაძე

რეცეზენტი:

ნათია კალაძე

მასმედიის ისტორია

მაია მაჭავარიანი

დაბეჭდილია საქართველოში, თბილისში.

საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა © 2015

ყველა უფლება დაცულია.

ISBN 978-99940-50-25-3

შინაარსი

I თავი მასმედიის საგანი 4

დასავლეთ ევროპის ქვეყნების პრესა XVI-XVII საუკუნეებში 9

II თავი დასავლეთ ევროპის ქვეყნების მედია XVIII-XIX საუკუნეებში..... 35

III თავი ჩრდილოეთ ამერიკის მედია XVII-XIX საუკუნეებში 62

IV თავი ამერიკის შეერთებული შტატების დასავლეთ ევროპის

ქვეყნების მედია XX საუკუნეში 104

V თავი რუსეთის პრესა XVII-XIX საუკუნეებში 139

VI თავი ქართული პრესა XIX საუკუნის I ნახევარში 178

VII თავი ქართული პრესა XIX საუკუნის II ნახევარში 212

VIII თავი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მედია 249

IX თავი რუსეთის მედია 1900-2010 წლებში 282

X თავი საქართველოს მედია 1921-2010 წლებში 328

XI თავი რადიომაუწყებლობის წარმოშობა და მასობრივი ინფორმაციი

საშუალებად ჩამოყალიბება 361

XII თავი ტელევიზიის ეპოქა 396

XIII თავი საქართველოს რადიო და ტელევიზია 438

ლიტერატურა 472

I თავი

§ 1. მასმედიის საგანი

ადამიანს, იმისთვის, რომ საზოგადოების სრულუფლებიან წევრად იგრძნოს თავი სჭირდება იმის ცოდნა რაც მის გარშემო ხდება. ახალი ამბების ცოდნა ადამიანებს უჩენს დაცულობის გრძნობას, საშუალებას აძლევს, რომ გეგმა ზომიერად იცხოვრონ. ინფორმაციის გაცვლა ადამიანის ურთიერთობისა და საზოგადოების ჩამოყალიბების საფუძველი ხდება.

კომუნიკაციური პრო ცესის მოდელირების პირველი ცდა ეკუთვნის არისტოტელეს. თავის ცნობილ ნაშრომ "რიტორიკაში" საჯარო სიტყ ვის აღწერისას მან მიუთითა, რომ "სიტყვა შედგება სამი ნაწილისგან: მოლაპარაკე, ის, რის შესახებაც ლაპარაკობს და ვისდამიც არის სიტყვა მიმართული". არისტოტელეს მოდელი დღევადელი თვალთა ხედვით შეიძლება ასე გამოისახოს. რატორი— შეტყობინება უდიტორია. არისტოტელე, რომელიც განიხილავდა რატორსა და აუდიტორიას შორის ურთიერთმოქმედების მექანიზმს, კომუნიკაციას წარმოადგენდა, როგორც ერთმიმართულებიან დინამიკურ პროცესს, რომლის მსვლელობაშიც ორატორი ისწრაფოდა, ზემოქმედება მოეხდინა აუდიტორიის ქცევასა და მდგომარეობაზე, ყოველი კომუნიკაციური აქტის წარმატების საფუძველს იგი ხედავდა, სიტყვის წარმოთქმის მადალ ოსტატობაში, რომელიც მისი აზრით, უნდა აგებულიყო აუდიტორიის თავისებურებების სრული გათვალისწინებით.

მასმედიის მნიშვნელობა საუკუნიდან საუკუნემდე განუზომლად მატულობს. დღეს ეს მძლავრი იდეოლოგიური ძალაა. მასმედია გავლენას ახდენს ქვეყნის ხელისუფლებაზე, საზოგადოებრივი აზროვნების ევოლუციაზე, საზოგადოების ორგანიზაციაზე, ეკონომიკის განვითარებაზე. აღიარებულია კულტურის ერთ-ერთ ფენომენად, ის აქტიურ ზემოქმედებას ახდენს სულიერ და მატერიალურ კულტურაზე, მის განვითარებაზე.

ტერმინი - მასმედია გამოიყენება მასობრივ ინფორმაციის საშუალებების აღსანიშნავად, რომელიც სპეციალურად განკუთვნილია და შექმნილია, რათა მოიცვას და მიაღწიოს დიდ აუდიტორამდე.

მასმედია – მასობრივი საშუალებებია - გაზეთები, ჟურნალები, წიგნები, რადიო, ტელევიზია, კინემატოგრაფია, აუდიო და ვიდეო ჩანაწერები, პანელები. ყველა ამ საშუალებას გააჩნია საერთო თვისებები – მიმართულია მასობრივი აუდიტორიისადმი, ხელმისაწვდომია მრავალი ადამიანისთვის, ხასიათდება ინფორმაციის წარმოების და გავრცელების კორპორაციული ფორმით.

მედია (media), რომელიც დღეს ხშირად გამოიყენება მასმედიის პარალელურ ცნებად, ინგლისური medium-ის (საშუალების) მრავლობით ფორმას წარმოადგენს და ამ ტერმინით აღინიშნება ინფორმაციულ საშუალებათა ყოველგვარი სახეობა - უძველესი დროიდან დაწყებული დღევანდელი უახლესი ინფორმაციული გლობალური მაგისტრალების ჩათვლით.

"მასობრივი კომუნიკაციის საშუალებანი", "მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი," "მასმედია" ყოველდღიურ პრაქტიკაში უმეტეს წილად პარალელურ ცნებებად იხმარება. თუმცა სპეციალისტთა აზრით, "მასობრივი კომუნიკაციის საშუალებანი" უფრო ზოგადი ცნებაა და მოიცავს აუდიტორიაზე ინფორმაციის ცენტრალიზებული გავრცელების ყველა საშუალებას (მათ შორის წიგნს, კინოს, აუდიო და ვიდეო ჩანაწერებს და ა.შ.) ხოლო "მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი" მისი ის არსებითი ნაწილია, რომელსაც ინფორმაციის პერიოდული და ოპერატიული გავრცელება ევალება (პრესა, რადიო, ტელევიზია, ინტერნეტი).

კომუნიკაცია (ლათინურიდან Communico - საერთოს ვხდი), ფართო გაგებით, არის ინდივიდებს შორის არსებული ინფორმაციის ურთიერთგაცვლა, სიმბოლოთა საერთო სისტემის საშუალებით. მასობრივი კომინიკაცია არის პროცესი, როდესაც ფართო მასებს უგზავნი მესიჯს მასობრივი კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალებებით ინფორმირებულობის, დარწმუნებისა და გართობისთვის.

ცნება „ჟურნალისტიკა“ როგორც ტერმინი, ფრანგული სიტყვა "ჟურნალიდან" (journal) წარმოდგება, რაც გულისხმობს დღიურს, გაზეთს (ფრანგული jour ნიშნავს დღეს) და იგი შეესაბამება გერმანულ journalism-ს. რუსეთსა და საქართველოში თავდაპირველად ტერმინი „ჟურნალისტიკა“ ჟურნალის რედაქციებში დასაქმებულთა საქმიანობის დასახასიათებლად იხმარებოდა, ხოლო XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან კი მას უკვე ყველა პერიოდული გამოცემის მიმართ იყენებენ. ამჟამად ამ ტერმინით იგულისხმება ჟურნალისტური მოღვაწეობის მრავალფეროვანი პროდუქცია და ამასთანავე პროფესიათა ერთობლიობა მის ჩარჩოებში (გაზეთი, ჟურნალი, გამომცემლობა, საინფორმაციო სააგენტო, რადიო, ტელევიზია, ინტერნეტი).

აზრთა უფრო მეტ სხვადასხვაობას იწვევს "მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა" და "ჟურნალსიტიკის" ცნებათა შეფარდება.

მასობრივი ინფორმაციის არხებით ყოველგვარი ინფორმაცია გადაიცემა – პუბლიცისტურიც, მხატვრულიც და მეცნიერულიც: გაზეთში ლექსიც იბეჭდება და მეცნიერული სტატიაც, რადიოში ოპერაც გადაიცემა და უცხო ენის გაკვეთილიც, ტელევიზიაში – ფილმიც და ლექციაც. მიეკუთვნება თუ არა ისინი ჟურნალისტიკას? მეცნიერთა უმრავლესობა თვლის, რომ რადგან ჟურნალისტიკა არის ინფორმაციულ-მმართველობითი საქმიანობა, რომელიც გულისხმობს ინფორმაციის სისტემურ შეკრებას, გადამუშავებასა და გავრცელებას მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მეშვეობით, იგი იყენებს სამივე სახის ინფორმაციას – პუბლიცისტურსაც, მხატვრულსაც და მეცნიერულსაც და, ამდენად, "მასობრივი ინფორმაციის საშუალება" და ფართო გაგებით "ჟურნალისტიკა" შინაარსობრივად პარალელური ცნებებია.

მასმედია, მასობრივი კომუნიკაციის საშუალებანი სულ უფრო დიდ როლს ასრულებს თანამედროვე საზოგადოებაში, იჭრება ცხოვრების ყველა სფეროში და მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მის ხასიათს. დღეს დავას არ იწვევს, რომ XXI საუკუნე ინფორმაციის საუკუნეა და ინფორმაციული ზემოქმედების როლი საზოგადოებრივ ცნობიერებაზე, ადამიანების ქცევაზე კიდევ უფრო გაიზარდა.

საზოგადოების ისტორიის მთელ მანძილზე ინფორმაციის შექმნისა და გადაცემის პროცესები სხვადასხვა საშუალებებით ხორციელდებოდა. საზოგადოების საწარმოო ძალთა, ეკონომიკური მდგომარეობის, ტექნიკის განვითარების შესაბამისად.

მასობრივი კომუნიკაცია — ესა არის შეტყობინების დაგზავნა ადამიანთა დიდი რაოდენობისთვის, სრულიად განსხვავებულ ერთმანეთისგან დაშორებულ ადგილებში. მასობრივი კომუნიკაცია შესაძლებელია მხოლოდ ტექნოლოგიების მეშვეობით —იქნება ეს ბეჭდური პრესა, ტელე თუ რადიო გადამცემი ან ინტერნეტის სერვერი.

გაზეთმა მისი დაარსების დღიდან ფართოდ გაიკვლია გზა მკითხველისაკენ. გაზეთის პარალელურად დიდი რაოდენობით შეიქმნა ჟურნალებიც და ორივე ტიპის გამოცემას ახალი სახელწოდება პრესა დაერქვა, რაც პერიოდულ გამოცემათა ერთობლიობას ნიშნავს.

XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში ფოტოგრაფიისა და კინემატოგრაფიის განვითარებასთან დაკავშირებით ჩაისახა ფოტო და კინო ჟურნალისტიკა. XX საუკუნის 20-იანი წლებიდან რადიო ტექნიკის ფართოდ განვითარებამ განაპირობა რადიო ჟურნალისტიკის წარმოშობა. 40-იანი წლებიდან ტელეჟურნალისტიკა, ხოლო XX საუკუნის ბოლოს ინტერნეტჟურნალისტიკაც ჩამოყალიბდა. ამიტომ დღესდღეობით ჟურნალისტიკა საკმაოდ ფართო მცნება გახდა. ამჟამად ტექნიკური პროგრესის სწრაფი განვითარების შედეგად ადამიანთა ინფორმირებამ წინათ არნახულ მასშტაბებს მიაღწია. შესაძლებლობა შეიქმნა ერთდროულად მივმართოთ მილიონობით ინდივიდს და ზემოქმედება მოვახდინოთ მათ შეგნებაზე, რაც ცხადია, წინა ეპოქებში შეუძლებელი იყო. მაშასადამე, კომუნიკაციამ მასობრივი ხასიათი მიიღო. აქედან გამომდინარე, შემთხვევითი არაა, რომ დღეს, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მძაფრი განვითარების კვალობაზე, ისინი სულ უფრო გადაიქცნენ საზოგადოებრივი ყოფიერების მძლავრ ფაქტორად, ინფორმაციის მუდმივ წყაროდ. ***ხოლო ინფორმაციის შეკრების გადამუშავებისა და გავრცელების საქმეს კი ჟურნალისტიკა ემსახურება.***

მესიჯი *– გზავნილი, ცნობის, პატაკის, სიგნალის გაგზავნა.*

კომუნიკაცია *– ერთი ადგილის მეორესთან დამაკავშირებელი გზა ან კავშირგაბმულობის საშუალება. ენის საშუალებით აზრების გადაცემა ურთიერობა.*

მასმედია რთულად ორგანიზებული სისტემაა, რომელიც მოიცავს ოთხ ქვესისტემას, მასობრივი ინფორმაციის ოთხ საშუალებას – პრესას, რადიოს, ტელევიზიას და ინტერნეტს. ამ სისტემათა ერთიანობას განაპირობებს ის, რომ მისი შემადგენელი ქვესისტემები მოქმედებენ საერთო სოციალურ გარემოში, ჰყავთ საერთო აუდიტორია და გააჩნიათ საერთო სოციალური ფუნქციები. გამოსახვის, გადაცემისა და აღქმის პრინციპების სხვადასხვაობა კი საფუძვლად უდევს ჟურნალისტიკის ოთხი სახეობის, მასობრივი ინფორმაციის ოთხი საშუალების: პრესის (ბეჭდვითი ჟურნალისტიკა), რადიოს (აუდიო ჟურნალისტიკა), ტელევიზიის (აუდიოვიზუალური ჟურნალისტიკა) და ინტერნეტის ანუ მასობრივი კომუნიკაციის სამი არხის – გრაფიკული აკუსტიკური და აუდიოვიზუალური არხების გამოყოფას (აუდიოვიზუალური არხია აგრეთვე ინტერნეტ-ჟურნალისტიკა, რომელიც სწრაფი ტემპით ვითარდება და დიდი პერსპექტივები აქვს).

პანელი *– ამ შემთხვევაში დაფა რომელიც გამოიყენება სხვადასხვა ინფორმაციის გასათავსებლად.*

ამრიგად, ჟურნალისტიკა არის მასობრივ ინფორმაციული საქმიანობა, რომელიც გამოიხატება აქტუალური ინფორმაციის სის-



ედმუნდ ბურკი (1729-97) ინგლისელი პოლიტიკური მოღვაწე, პუბლიცისტი, ინგლისური კონსერვატიზმის იდეოლოგი.

ტემური შეკრებით, გადამუშავებითა და პრესის, რადიოს, ტელევიზიის და ინტერნეტის საშუალებით გავრცელებით საზოგადოების სოციალურ მართვაში მონაწილეობის მიზნით.

ინფორმაცია თანამედროვე მსოფლიოში ყველაზემოთხოვნადი პროდუქციაა. ამიტომაა ყოველდღიურად მილიონობით გაზეთი და ჟურნალი ხვდება მკითხველის ხელში, ათასობით რადიო სადგურის ტალღები კვეთენ ეთერს, ათასობით ტელეანძა და კოსმოსური თანამგზავრი აწვდის ადამიანებს ცნობებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან. დაბადებიდან სიკვდილამდე ადამიანი ინფორმაციულ გარემოში ცხოვრობს. იგი ერთდროულად ინფორმაციის შემქმნელიცაა, მომხმარებელიც, მატარებელიც და გარდამქმნელიც. არ არსებობს საზოგადოებრივი ყოფიერების რომელიმე სფერო, რომელზედაც ინფორმაციული პროცესები არ ახდენდნენ გავლენას. ინფორმაცია და მისი გაცვლა ყველა ადამიანური ურთიერთობის საფუძველია. თანამედროვე საზოგადოების განვითარებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ინფორმაციის სწრაფ გავრცელებას აქვს. მსოფლიოში არსებული უზარმაზარი ინფორმაციული ნაკადის რეგულირებას, მის გადამუშავებას და გავრცელებას უზრუნველყოფს მასობრივი ინფორმაციის საშუალებები. მათი არსებობის მიზანია საზოგადოების მოთხოვნილების დაკმაყოფილება — იცოდნენ ყველაფერი სამყაროში მიმდინარე ყოველდღიურ მოვლენებზე, ჰქონდეთ ადამიანებს სოციალურად მნიშვნელოვანი ინფორმაცია. ახალი ამბავი ადამიანის ძირითად იმპულსს აკმაყოფილებს. ვინაიდან ადამიანს ყოველთვის აინტერესებს, თუ რა ხდება იქ სადაც თვითონ არ არის. იმ მოვლენების საქმის კურსში ყოფნა, რომელთა დანახვაც ადამიანს საკუთარი თვალით არ შეუძლია, მათ უსაფრთხოების, რწმენის და კონტროლის გრძნობებს უღვიძებთ.

მასკომუნიკაცია არის პროცესი, რომლის მეშვეობით მესიჯები მასმედიის გავლით აღწევენ აუდიტორიამდე. ეს საკმაოდ რთული პროცესია, რომელიც არასრულფასოვანი წარმართვისას შესაძლოა სხვადასხვა შედეგით დასრულდეს. ჩვეულებრივ, ეს ასოცირდება გაზეთებთან და ჟურნალებთან, რადიოსთან და ტელევიზიასთან, ასევე კინოსთან – ისინი ხომ ახალი ამბებისა და რეკლამის გასავრცელებლად გამოიყენება.

მასმედია არა მარტო ართობს და ანათლებს ადამიანებს, არამედ იგი ზეგავლენას ახდენს ადამიანთა კულტურულ და სოციალურ ღირებულებებზე, ცვლის პიროვნების ქცევის მოდელს და სინამდვილის აღქმას. დღევანდელი მედია – ეს დიდი ინდუსტრიაა, სადაც მილიონობით ადამიანია დასაქმებული.

XXI საუკუნის მასობრივი კომუნიკაციის საშუალებები ეს "გლობალური მედიაა", რაზეც ცნობილი კანადელი ფილოსოფოსი და ჟურნალისტიკის თეორიტიკოსი, მარშალ მაკლუჰენი ამბობდა – "ნებისმიერ დროს, ნებისმიერ ადგილზე ნებისმიერი ადამიანისთვის ხელმისაწვდომი კომუნიკაცია".

მასობრივი ინფორმაციის ან მასობრივი კომუნიკაციის არხები ხშირად ჟურნალისტური არხების სინონიმებადაც კი იხმარება. ჟურნალსტიკა კომუნიკაციაა, უფრო ზუსტად, მასობრივი კომუნიკაციაა. ამდენად, მასობრივი კომუნკაციის პროცესების თავისებურებათა ცოდნა ერთდროულად ჟურნალისტიკის ფუნქციონირების თავისებურებათა ცოდნაც არის.

უდავოა, რომ პრესა განუყრელადაა დაკავშირებული ამა თუ იმ ქვეყნის ისტორიასთან, საზოგადოებრივ მოძრაობასთან და განვითარების ყველა ეტაპზე ამ საზოგადოებრივი მოძრაობების უშუალო გავლენას განიცდის. სავსებით მართებულია თანამედროვე ინგლისელი ჟურნალისტის - დევიდ ბართლეთის გამონათქვამი: **"პრესა საზოგადოების სარკეა".**

მასმედიის ისტორიის პერიოდიზაცია, როგორც წესი, ძირითადად საზოგადოების განვითარების ეტაპებს ასახავდა. მით უმეტეს დღეს, მასმედია და საზოგადოება როგორც არასდროს, ისე არის ერთმანეთზე დამოკიდებული. მედია ყოველთვის გამოდიოდა და გამოდის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობების და პარტიების შექმნის ძირითად ბირთვად. მედია, როგორც სოციალური ინსტიტუტი, აქტიურად მონაწილეობს საზოგადოების მართვის საქმეში. სწორედ ამიტომ უწოდეს მასმედიას „მეოთხე ხელისუფლება" (აღნიშნული ტერმინი პირველად ცნობილმა ინგლისელმა მოაზროვნემ ედმუნდ ბურკმა XVIII საუკუნის მიწურულს გამოიყენა). თუმცა, მასმედიას, როგორც „მეოთხე ხელისუფლებას" პირველი სამი ხელისუფლების მსგავსად იურიდიული სტატუსი არ გააჩნია. ის უფრო სიმბოლურ-მორალურ ძალას ეყრდნობა, ვიდრე სამართლებრივს, მაგრამ ჟურნალისტურმა პრაქტიკამ არაერთხელ დაამტ-

კიცა ამ ძალის ცხოველმყოფელობა. სწორედ ამან განამტკიცა „მეოთხე ხელისუფლების“, როგორც დანარჩენი სამი ხელისუფლების ტოლფასი სოციალური ინსტიტუტის მიმართ რწმენა.

იოანე-პავლე II
(1920-2005)
კათოლიკური ეკლესიის
264-ე პაპი (1978-2005)

მედიის ისტორია, გარკვეული გაგებით სიტყვის თავისუფლებისთვის ბრძოლის ისტორიაა. მასმედიამ, როგორც სოციალურმა ინსტიტუტმა, უაღრესად რთული და წინააღმდეგობრივი გზა განვლო, გამოსცადა მრავალი დაპირისპირება მონარქიასა და ეკლესიასთან, დიქტატორულ და ავტორიტარულ რეჟიმებთან, სხვადასხვა ტიპის იდეოლოგიურ მიმართულებებთან. ამ ბრძოლებში იგი ბუნებრივად გამოიწრთო და როგორც „მეოთხე ხელისუფლებამ“ ადამიანებს შეუნახა რწმენა თავისუფალი სიტყვის ძალმოსილების შესახებ.

თანამედროვე საზოგადოება მედიისგან მოვლენათა გაშუქებისას ახალ აზროვნებასა და ახლებურ მიდგომებს მოითხოვს. ახალ საუკუნეში მედიას თავისი წვლილი შეაქვს დუმილის კულტურის პლურალისტური დისკუსიის კულტურით შეცვლისა და ინფორმაციის მიღების ღია და გამჭვირვალე სისტემის ფორმირების პროცესში.

რამდენადაც რთულად და წინააღმდეგობით აღსავსედ არ უნდა გამოიყურებოდეს მასობრივი კომუნიკაციების ისტორიული და თანამედროვე განვითარება, მაინც ეჭვ გარეშეა მასმედიის უდიდესი როლი თანამედროვე ცივილიზაციის განვითარებაში.

საქართველოში მასმედიის თავისუფლება უზრუნველყოფილია საქართველოს კონსტიტუციით (მე-19 მუხლი) და პარლამენტის მიერ მიღებული კანონით “სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ” (2004, 24/VI). ხალმა კანონმდებლობამ გამოხატვის თავისუფლების დაცვის თვალსაზრისით, არაერთი ნოვაცია შემოიტანა და საქართველოს მედიასამართლის სივრცეში მოქმედი კანონი თანამედროვე დასავლურ, დემოკრატიულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოიყვანა.



ჰერბერტ
მარშალ მაკლუჰენი
(1911-80)

კანადელი ფილოსოფოსი,
კრიტიკოსი, თეორიტიკოსი
და კულტუროლოგი.
ავტორი კონცეფციისა
“გლობალური სოფელი”

მასმედიის დიდი სოციალური და მორალური ვალდებულებები მათაც კარგად ესმით, ვინც ამ სფეროს არ მიეკუთვნება. იოანე პავლე II-ის განცხადებით: ***„ჟურნალისტიკა, რომელიც უდიდეს და უშუალო გავლენას ახდენს საზოგადოებრივ აზრზე, არ უნდა იმართებოდეს ეკონომიკური ძალებით, მოგების მიღებისა და განსაკუთრებული ინტერესების დაცვის მიზნით. ამის ნაცვლად, ჟურნალისტიკა უნდა აღიქმებოდეს, როგორც გარკვეული თვალსაზრისით წმინდა მისია, რომელიც იმის შედგენით უნდა ხორციელდებოდეს, რომ კომუნიკაციის მძლავრი საშუალებები ჟურნალისტებს მთელი საზოგადოების კეთილდღეობის დაცვის მიზნით ანდეს.”***

მასმედიის როლს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საქართველოს პატრიარქი ილია II: ***„ტექნოლოგიური პროცესების განვითარებით, ადამიანის ცნობიერებისა და ცხოვრების წესის განსაზღვრის ყველაზე მძლავრ ბერკეტად მასმედია იქცა, ამიტომაც აუცილებელია, რომ მანაც იტვირთოს აღმზრდელობითი ფუნქცია“.***

დღევანდელი დაჩქარებული ტემპიდან გამომდინარე მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს უამრავი სხვადასხვა პრობლემის გაშუქება უხდებათ. თანამედროვე ჟურნალისტს უნდა შეეძლოს არსებულ სირთულეთა ღრმად განჭვრეტა, რაც სათანადო განათლების გარეშე მიუღწეველია.

საქართველოში დემოკრატიული მედიის განვითარება უთუოდ მოითხოვს სათანადო კადრების მომზადებას, მათთვის შესაბამისი ლიტერატურის მიწოდებას და მსოფლიოში აღიარებული თეორიებისა და უახლესი კონცეფციების გაცნობას. ამ ძალისხმევით მასმედიის ისტორიის შესწავლა წარმოადგენს ერთ-ერთ ამოცანას, რომლის უმნიშვნელოვანესი პირობაა ბეჭდვითი და ელექტრონული მედიის მომავალი სპეციალისტების ჩამოყალიბება. ის ისტორიულ, ფსიქოლოგიურ, სოციოლოგიურ და ენათმეცნიერულ დისციპლი-



უწმინდესი და უნეტარესი ილია II (ირაკლი გიორგის ძე ღუდუშაური შიოლაშვილი) (1933, 4/I) საქართველოს კათალოკოს-პატრიარქი მთავარ ეპისკოპოსი მცხეთა-თბილისისა და მიტროპოლიტი ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის (1977)

1995 წ. 24/ VIII
საქართველოს
ონსტიტუცია; მუხლი 19

1.ყოველ ადამიანს აქვს სიტყვის, აზრის, სინდისის აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლება.
2.დაუშვებელია ადამიანის დევნა, სიტყვის, აზრის, აღმსარებლობის ან რწმენის გამო აგრეთვე მისი იძულება გამოთქვას თავისი შეხედულება მათ შესახებ.
3. დაუშვებელია ამ მუხლში ჩამოთვლილ თავისუფლებათა შეზღუდვა, თუ მათი გამოვლინება არ ლახავს სხვათა უფლებებს.

ნებთან ერთად საუნივერსიტეტო განათლების განუყრელი კომპონენტია, რომლებიც კავშირში არიან საზოგადოებრივი პროცესების შესწავლასთან.

სალექციო კურსის შედგენისას გათვალისწინებული და გამოყენებულ იქნა: ისტორიული და სპეციალური ლიტერატურა, უცხოელ და ქართველ მკვლევართა უახლესი გამოკვლევები, საჟურნალო და საგაზეთო პუბლიკაციები, ენციკლოპედიური ლექსიკონები, ინტერნეტ-მასალები, რომელთაც სახელმძღვანელოში სისტემური და ქრონოლოგიური სახე მიეცათ. ყოველივე მთლიანობაში წარმოადგენს ნაშრომის ინფორმაციულ ბაზას.

სახელმძღვანელო მოიცავს მედიის განვითარების 400-წლოვან ისტორიას და შედგება შესავალისა და 13 თავისგან: ევროპული, ჩრდილოამერიკული, XX საუკუნის ევროპულ-ამერიკული, რუსული, ქართული მედიის ისტორია, რადიო-ტელევიზიის ისტორია, XXI საუკუნის მულტიმედიისა და დასკვნითი ნაწილისგან.

§ 2. დასავლეთ ევროპის ქვეყნების პრესა XVI-XVII საუკუნეებში

ევროპული პრესის სათავეებთან - ადამიანები უხსოვარი დროიდან იყენებდნენ ინფორმაციის გადაცემის სხვადასხვა ფორმებს და თანდათან ხვეწდნენ ამ ტექნოლოგიებს, რათა ურთიერთშორის ინფორმაციის გაცვლა მოეხდინათ.

კაცობრიობამ მასობრივი კომუნიკაციების განვითარების გრძელი და რთული გზა განვლო: ჯერ ენა, შემდეგ დამწერლობა, ანბანი, პორტატული მედია, წიგნები (ხელნაწერი წიგნები, გაზეთები), ბეჭდვა, გაზეთი, ტელეგრაფი, რადიო, ტელევიზია და ინტერნეტი. თითოეული ეტაპის (განსაკუთრებით საწყისის) გავლას ათასობით წელი დასჭირდა და თითოეული მათგანი რევოლუციური გადატრიალება იყო ადამიანთა ურთიერთობაში.

დღევანდელი მასმედიის მიზანი იგივეა, რასაც ადრე მისი წინამორბედი აკეთებდა; უძველესი მოსახლეობა შემაღლებულ ადგილზე კოცონს ანთებდა, ჯუნგლებში მცხოვრებნი ტამტამებს უკრავდნენ, ეგვიპტელები და შუმერები იეროგლიფებს წერდნენ (პაპირუსზე, თიხის ფირფიტებზე). თანამედროვე მედია ზუსტად იგივე მიზნით გადასცემს ინფორმაციას დროსა და სივრცეში. ასე, რომ შეიცვალა დრო და საშუალებები, ხოლო მიზანი იგივე დარჩა.

ადამიანებზე მიზანსწრაფული ზემოქმედების მიზნით ინფორმაციის შეკრებისა და გავრცელების ჩანასახი ჯერ კიდევ შორეულ წარსულში გვხვდება. სიტყვიერი ზემოქმედების საშუალებები ცნობათა გაცვლის საფუძველზე, ჯერ კიდევ გვაროვნული წყობილების პირობებში შეიქმნა. ხოლო შემდგომში სახელმწიფოების აღმოცენებისდა კვალად სხვადასხვა სახის ცნობები სხვადასხვა საშუალებებით გადაიცემოდა: ზეპირად ან წერილობით.

ადამიანთა კომუნიკაციის უძველესი საშუალება იყო სიტყვა. სიტყვით ადამიანები გამოთქვამდნენ თავიანთ გამოცდილებაზე დაფუძნებულ აზრებს და გამოხატავდნენ სამომავლო უსაფრთხოებით ნაკარნახევ სურვილებს. უხმო შეტყობინება იყო ე.წ. "საგნობრივი წერილი" (მაგა;ლითად მოწინააღმდეგისათვის ზეთის ხილის რტოს გაგზავნა, რაც შერიგებისაკენ მოწოდებად აღიქმებოდა), სადაც ინფორმაციის მიწოდება საგნით მოიაზრებოდა.

ადრეული დემოკრატიის სამშობლო--საბერძნეთი, ეყრდნობოდა ზეპირ ჟურნალისტიკას. კერძოდ, ათენის მოედანზე (აგორა), შესაძლებელი იყო თითქმის ყველა საზოგადოებრივ საქმეებზე ინფორმაციის მიიღება. საზოგადოებრივი ინფორმაციის ზეპირად გავრცელებაში აქტიურ როლს ასრულებდნენ ორატორები (მაგალითად, დემოსთენე საბერძნეთში და ციცერონი ძველ რომში), რაც გარკვეულწილად შეიძლება ჟურნალისტიკამდელ საქმიანობად ჩაითვალოს, რადგანაც ისინი ხალხში მიზანსწრაფულად ავრცელებდნენ ცნობებს, რომლებიც გარკვეულ ზეგავლენას ახდენდნენ და უყალიბებდნენ მათ შესაბამის შეხედულებებს, წარმოდგენებს, მისწრაფებებს.

ამ მხრივ საინტერესოა, მესამე პუნიკური ომის (ძვ. წ. *149-146*) დაწყებამდე მარკუს ჰორაციუს კატონ უფროსის (ძვ.წ. *234-149*) გამოსვლები რომის სენატში. კერძოდ, თითოეულ თავის გამოსვლას, რა საკითხზედაც არ უნდა ყოფილიყო იგი, შემდეგი სიტყვებით ამთავრებდა: "Carthaginem delendam esce" („კართაგენი უნდა დაინგრეს"). ძვ. წ. *146* წელს სარდალმა -- კორნელიუს სციპიონ აფრიკელმა (უმცროსი) (ძვ. წ. *185-129*) კართაგენი აიღო, დაანგრია და ქალაქის მცხოვრებლები კი მონებად გაყიდა. რომაელთა ამ გამარჯვებაში დიდი წვლილი კატონის პროპაგანდისტულ გამოსვლებსაც მიუძღვის.

პორტატული *– პატარა ზომის, თან სატარებლად მარჯვე, ადვილად გადასატანი. პორტატულ მედიას მიეკუთვნება: გამომწვარ თიხის ფირფიტებზე, პაპირუსზე, პერგამენტზე, ეტრატზე, ქაღალდზე მოცემული მასალები.*

აგორა *– მოედანი აკროპოლის ბორცვის ქვეშ ათენში, სადაც სახალხო კრება იმართებოდა.*

სენატი *– ძველ რომში უმაღლესი ხელისუფლების სახელმწიფო ორგანო.*

ტექნოლოგია *– გარკვეული წესითა და თანმიმდევრობით განხორციელებული ოპერაციების ერთობლიობა.*

ტამტამი *– დასარტყმელი მუსიკალური საკრავი.*

ორატორი *– პირი, რომელიც საჯაროდ წარმოთქვამს სიტყვას, მჭევრმეტყველი*

პლებეი *— ძველ რომში დაბალი ფენის თავისუფალი ადამიანი*

კურიერი *– დაწესებულების შიკრიკი.*

კალიგრაფია *– ლამაზად, მკაფიოდ წერის ხელოვნება.*

ბულა *– რომის პაპის ბრძანებულება ან წერილი.*

რელაცია *– ცნობა, მოხსენება, წერილობითი დახასიათება.*

რესკრიპტი *– ძველ რომში იმპერატორის მიერ შეკითხვაზე გაცემული პასუხი, რომელსაც კანონის ძალა ჰქონდა.*

სტილისტი *– პირი, რომელიც კარგად ფლობს სალიტერატურო ენის სპეციფიკას.*

ტრიბუნი *– ძველ რომში ერთ-ერთი თანამდებობის პირი, რომლის მოვალეობას პლებეების უფლებების დაცვა წარმოადგენდა და გამოირჩეოდა ორატორული ნიჭით.*

ჰეროლდი *– შუა საუკუნეების ევროპაში მაცნე, მაუწყებელი.*

მენესტრელი *– მოხეტიალე პოეტ-მუსიკოსი შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპაში.*

პოლიტიკური მიმართულების ორატორებთან ერთად მოგვიანებით ასეთივე ხასიათის საქმიანობას საეკლესიო მოღვაწეებიც ეწეოდნენ. მაგალითად, ცნობილია რეფორმაციის ეპოქის დიდი პუბლიცისტის თომას მიუნცერის *(1490-1525)* ქადაგებანი. რაც შეეხება ამ მხრივ საერო ხელისუფლების მოქმედებას, ფართოდ იყენებდნენ: მალე მსრბოლელებს, მაცნეებს, ჰეროლდებს ზეპირი ცნობების გასავრცელებლად ან წერილობითი დოკუმენტების; რელაციების, რესკრიპტების, ბულების დანიშნულების ადგილებზე მისატანად. ჟურნალისტიკამდელი საქმიანობის და თანამედროვე ჟურნალისტიკის კავშირი დღესაც შეინიშნება გაზეთებისა და ჟურნალების ზოგიერთ სახელწოდებებშიც, რომლებმაც მემკვიდრეობით მიიღეს სიტყვები: „მაცნე“, „კურიერი“, „ტრიბუნი“ (ქართული „მაცნე“, ამერიკული „ჰერალდი“, „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნი“, ინგლისური „ტრიბუნი“, „დეილი ჰერალდი“ და სხვ.). ზეპირი გაზეთის ზემოქმედების არეალი ვიწრო იყო, ცნობაც ყოველთვის როდი ხასიათდებოდა სიზუსტით, აგიტაციაც შეზღუდულად წარმოებდა, ხოლო პროპაგანდის მიჯრითობასა და გეგმაზომიერებაზე საუბარიც ზედმეტია. მიუხედავად ყოველივესა, ზეპირმა გაზეთმა ნიადაგი მოუმზადა ხელნაწერ გაზეთს და საკმაოდ დიდხანს არსებობდა ამ უკანასკნელის პარალელურად.

ძველი ცივილიზაციების სახელმწიფოთა უმრავლესობაში განვითარების შემდგომ ეტაპზე ცნობების გავრცელების ძველი ხერხები საკმარისი აღარ აღმოჩნდა და ამიტომ აღმოცენდნენ ჟურნალისტიკამდელი ფორმები გაზეთის მსგავსი კრებულები, რომლებიც შეიცავდნენ აქტუალურ შეტყობინებებს. არის ცნობები, რომ ძველ ეგვიპტეში ფარაონების კარზე პაპირუსებზე დაწერილი გაზეთის მაგვარი ფორმები ჰქონდათ, რომლებიც გადმოსცემდნენ ახალ ამბებს. ასევე მაკედონიის სამეფო კარზე, მეფის ოჯახის წევრებისთვის განკუთვნილი გაზეთის მსგავსი პერიოდული ორგანო გამოდიოდა, რომელიც მათ სპარსელებისგან გადმოუღიათ. ხოლო რომის სახელმწიფოში თავდაპირველად იულიუს კეისარის (ძვ.წ. *100-44)* მიერ იქნა შემოღებული და შემდგომში ჩვენი წელთაღრიცხვით IV საუკუნემდე გრძელდებოდა სხვადასხვა ამბების შემცველი კრებულების გამოშვება – „Acta Senatus“ („სენატის უწყებანი“), რომლებიც სენატის სხდომათა მოკლე ოქმებს და რომაელთა ცხოვრების ფაქტებსა და მოვლენებს შეიცავდნენ. თექსტი განსაკუთრებულ დაფაზე იწერებოდა. გადამწერები თაბაშირზე წერდნენ წაწვეტებული ჯოხით – სტილით (ბერძნულად „სტილოს“) და ისინი მაღალ კვალიფიციური უნდა ყოფილიყვნენ. შეცდომის დაშვება არ შეიძლებოდა, რადგან თაბაშირი მალე შრებოდა და ნაწერის გასწორება შეუძლებელი იყო – ხელახლა უნდა დაეწერათ ტექსტი ახალ დაფაზე და ამ დაფებს საზოგადოებრივ თავშეყრის ადგილებში ათავსებდნენ. მათ ასლებს გადამწერნი იღებდნენ და რომის იმპერიის სხვადასხვა ქალაქებსა და პროვინციებში აგზავნიდნენ. თვით დედანს კი არქივში ინახავდნენ.

იულიუს კეისარი არ დაკმაყოფილდა მარტო „სენატის უწყებანის“ პუბლიკაციით და, მისი ბრძანებით შეიქმნა ახალი უწყებანი, რომლებშიც საზოგადოებისთვის საინტერესო ყოფითი ამბებიც აისახებოდა. ასე ჩაეყარა საფუძველი “Acta diurna populi romani” („რომაელი ხალხის ყოველდღიური უწყებანი“), რომელიც თემატურად გაცილებით მრავალფეროვანი იყო, ვიდრე სენატის უწყებანი. იმ პირებს, რომლებიც ხელისუფლების დავალებით „Actadiurna“-სთვის ინფორმაციებს აგროვებდნენ „დიურნალისტები“ ერქვათ. შემდგომ მათ „ჟურნალისტები“ ეწოდათ. „აქტები“ ინფორმაციული ხასიათის იყო და ბიულეტენებს წააგავდა. ცხადია, მათ ბევრი რამ განასხვავებდა თანამედროვე გაზეთისგან, მაგრამ არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ მათ პრესის გარკვეული ფუნქცია გააჩნდათ.

როგორც სპეციალისტები მიუთითებენ რომის იმპერიის დაცემის შემდეგ „უწყებანის“ გამოცემა, მართალია მცირე ხნით, მაგრამ კონსტანტინოპოლში გაგრძელდა.

ხელნაწერი ბიულეტენ-უწყებების როლი თვალსაჩინოა. ამგვარი „პრესა“ გამოირჩევა დოკუმენტალურობით. მხედველობაში მისაღებია ნომერთა ასლებიც, იგი გავრცელების მხრივაც შედარებით მასშტაბურია. ამ თვალსაზრისით სჯობნის კიდეც ზეპირ გაზეთს. მაგრამ უშუალობითა და ოპერატიულობით ნამდვილად ჩამორჩება მას.

პარალელურად რომის იმპერიის ქალაქებში კედლის წარწერებიც იყო გავრცელებული. საზოგადოება სპეციალურად მიდიოდა და ეცნობოდა ამგვარ იმფორმაციებს. კერძოდ, ქალაქ პომპეის კედელზე *1450* წარწერა აღმოჩნდა. მათი უმეტესობა ასარჩევ თანამდებობაზე წამოყენებულ კანდიდატთა დახასიათებას შეიცავდა, რაც თანამედროვე პრესის ერთ-ერთ წინამორბედად არის მიჩნეული.

ამრიგად, კომუნიკაცია, როგორც გააზრებული ცნობების გაცვლის პროცესი ჯერ კიდევ კაცობრიობის განთიადიდან მოყოლებული ადამიანის ყოფის აუცილებელი ელემენტი გახდა. რომის იმპერიის დაცემასთან ერთად ევროპაში ინფორმაციების ურთიერთგაცვლის მეთოდები შეჩერდა.შუა საუკუნეებში, როცა ევროპის საზოგადოებები უფრო ავტორიტარული და ძალადობრივი გახდა, კომუნიკაციებმა იკლო და ბუნებრივია წერილობით გავრცელებული ახალი ამბების გავრცელებაც შეფერხდა.

გვიან შუა საუკუნეებში ახალი ამბები თხრობითი და სასიმღერო ფორმით დაბრუნდა. ბალადებს და ახალი ამბებს მოხეტიალე მენესტრელები ასრულებდნენ.

ინფორმაციების ურთიერთგაცვლა დიდი ხნის შემდეგ, არსებითად, XV საუკუნეში განახლდა, რაშიც პრიორიტეტი კვლავ იტალიელებს ეკუთვნოდათ.

ხელნაწერი წიგნი -- დამწერლობის შექმნა კაცობრიობის განვითარების ისტორიაში უდიდესი წინ გადადგმული ნაბიჯი იყო. ეს იყო მასობრივი კომუნიკაციის ისტორიაში მეტყველების განვითარების შემდეგ, მეორე დიდი რევოლუცია.

დამწერლობის ადრეული სახეა -- პიქტოგრამა -- ხატოვანი დამწერლობა, რომლის საფუძველზე იეროგლიფური დამწერლობა (ძვ. წ. III ათასწლეული) წარმოიშვა. მისი შედარებით გვიანდელი სახეა ლურსმული დამწერლობა (ძვ.წ.II ათასწლეული). რომელმაც თავის მხრივ ბიძგი მისცა ფინიკიელთა მიერ (ძვ. წ.აღ. XII-XI სს.) ანბანის შექმნას. „სრულყოფილი“ ანბანის შექმნა ბერძნების დამსახურებაა (ძვ.წ. IX-VIIIსს.). ბერძნული ანბანის საფუძველზე ერთი მხრივ ლათინური ანბანი შეიქმნა, რამაც თანამედროვე ევროპულ დამწერლობებს, ხოლო მეორე მხრივ სლავურ დამწერლობას დაუდო საფუძველი. მიუხედავად იმისა, რომ დღევანდელი სამყარო მრავალ სახელმწიფოს, ერს და ენას ითვლის, ანბანი სულ 14 არსებობს (მათ შორის ქართული).

დამწერლობის ეფექტური სისტემების გამოგონებას დიდი დრო დასჭირდა. პირველი საშუალება-ქვა ძალზე მოუხერხებელი იყო. „ქვის დოკუმენტების“ ერთი ადგილიდან მეორეზე გადატანა არც ისე ადვილი აღმოჩნდა. კაცობრიობამ განვითარების შემდგომ ეტაპებზე გამოიგონა სხვადასხვა ტიპის საწერი საშუალებები (პორტატული მედია): გამომწვარი თიხის ფირფიტები, ბამბუკი, პაპირუსი, ცხვრის, თხისა და ხბოს ტყავები, პერგამენტი, ეტრატი, ქაღალდი, რომელიც ჩინელებმა (ცაი ლუნი ძვ.წ.*105* წ.)გამოიგონეს. რომელთა შორ მანძილზე გადატანა ბევრად ადვილი იყო. პორტატული მედიის მეშვეობით ინფორმაციის შორ მანძილზე გადატანის შესაძლებლო-

წიგნის ბეჭდვის, განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ტექნოლოგიური ფაქტორი ქაღალდის წარმოება იყო. ქაღალდი ჩინელებმა გამოიგონეს.. (105წ.ძვ.წ.აღ). VIII საუკუნეში სპარსელმა მეომრებმა ჩინელი ქაღალდის მწარმოებლები ტყვედ ჩაიგდეს. არავინ იცის ჩინელებმა ნებაყოფლობით გათქვეს საიდუმლო თუ წამებით ადიარეს (გააჩნია რომელ ვერსიას დავუჯერებთ). ფაქტია, რომ ისლამურმა სამყარომ ქაღალდის წარმოება ევროპელებზე დიდი ხნით ადრე დაიწყო. ქაღალდის წარმოება ესპანეთში XII საუკუნეში მავრებმა შეიტანეს.

ეტრატი *– პერგამენტის ქაღალდი, რომელიც დამუშავებულია გოგირდმჟავათი.*

მანუსკრიფტი *– ხელნაწერი, უპირატესად ძველი.*

გრაგნილი *– ეტრატის, პაპირუსის ან ქაღალდის გრძელი დახვეული ფურცელი, რომელზეც ტექსტი იწერებოდა.*

პერგამენტი *– ხბოს, ბატკნის, ციკნის ტყავი განსაკუთრებული წესით დამუშავებული, რომელსაც საწერ მასალად იყენებდნენ. (წარმოდგება მცირე აზიის ქალაქ პერგამონის სახელიდან).*

თიხის ფირფიტებზე დაწერილი "გილგამეშის ეპოსი".

წარწერა ქვაზე(შვედეთი)



ჩინური წარწერა ბამბუკზე.

წარწერა პაპირუსზე

ბამ სხვადასხვა ხალხების კულტურული დაახლოება გამოიწვია.

ქაღალდის წარმოება ევროპაში სწრაფად გავრცელდა. ევროპელები ისე დაოსტატდნენ, რომ სელის ქსოვილისგან ულამაზეს ქაღალდს ამზადებდნენ. მაშინდელი ქაღალდი, რასაკვირველია უხეში იყო, მაგრამ მას ორი საუკეთესო თვისება ჰქონდა: ცხვრის და თხის ტყავზე იაფი ღირდა და ადვილად იშოვებოდა. იტალიელებს დიდი დრო აღარ დასჭირდათ იმისთვის, რომ მოუხერხებელი გრაგნილები ერთნაირი ზომის ფურცლებისგან აკინძული წიგნით შეეცვალათ. სწორედ იტალიელებმა განავითარეს და შექმნეს წიგნი იმ სახით, რა სახითაც ის დღეს არსებობს. მათ გამოიგონეს ცალმხრივი კინძვის ის მეთოდი და ფურცლები, რომელთა ორივე გვერდზე დაწერა შეიძლებოდა. იტალიელებმა წიგნის განვითარების საქმეში უფრო მეტი წვლილი შეიტანეს, ვიდრე უბრალოდ, წიგნის გარეგნული იერსახის ჩამოყალიბება იყო. მათ დახვეწეს ანბანი, წინადადების სტრუქტურები, შემოიტანეს პარაგრაფის იდეა და დაამუშავეს პუნქტუაციის ნიშნები.

რომის იმპერიის დაცემასთან (476წ.) ერთად წიგნის გადაწერა დროებით შეფერხდა. მაგრამ იგი შეინარჩუნა და გააუმჯობესა ქრისტიანული მონასტრების ბერებმა. მათ შექმნეს ათასობით ხელნაწერი -- manuscript – მანუსკრიფტი. მონასტერში შექმნილი წიგნების უმეტესობა წარმოადგენდა სასულიერო თხზულებებს ან სამუშაო დოკუმენტებს, რომლებიც თვითონ ეკლესიებსა და მონასტერთან არსებულ სკოლებში გამოიყენებოდა. თუმცა ზოგიერთი მათგანი შემკული იყო ნატიფი ასოებითა და ილუსტრაციებით და ხელოვნების ჭეშმარიტ ნიმუშს წარმოადგენდა.

ევროპის ქვეყნებში სწავლულთა ენა (XIVსაუკუნემდე) ლათინური იყო. ცალ მხარეს აკინძული ფურცლებიანი წიგნი ეტრატზე უფრო ეფექტურ საშუალებად იქცა, მაგრამ მისი ერთი ეგზემპლარის შექმნაც კი უკიდურესად შრომატევადი პროცესი იყო. ფრთის კალმითა და უბრალო მელნით შეიარაღებული გამოცდილი გადამწერი ზოგჯერ ერთი წიგნის გადაწერას წელიწადზე მეტხანს ანდომებდა. ამიტომ წიგნი ცოტას თუ ჰქონდა და კითხვა მოსახლეობის ძალზე მცირე ნაწილმა იცოდა.

შუა საუკუნეებში წიგნის მიმართ ინტერესი გაიზარდა. ადრე თუ წიგნების გადაწერა სამონასტრო ცხოვრების ნაწილი იყო, ახლა უკვე ბერების გარდა წიგნების გადაწერით სხვებიც დაინტერესდნენ. ქალაქებში გაიხსნა დაწესებულებები – scriptoria, ე. წ. „სკრიპტორიუმები", რომლებიც თავს წიგნების გადაწერით და გაყიდვით ირჩენდნენ. XIII საუკუნეში ევროპის მთავარ ქალაქებში უნივერსიტეტების, სამეცნიერო და სასწავლო ცენტრების გახსნამ განაპირობა მზარდი ინტერესი და მოთხოვნილება წიგნისადმი. თუმცა ხელნაწერ წიგნს ამ მოთხოვნილებების დაკმაყოფილება უკვე აღარ შეეძლო.

ნაბეჭდი წიგნი ევროპაში – ჟურნალისტიკა, როგორც საკაცობრიო ცივილიზაციის მონაპოვარი, კაცობრიობის განვითარების გრძელ გზაზე შედარებით გვიანდელი მოვლენაა და ფეოდალური წყობილების კრიზისს, ბურჟუაზიის აღმავლობასა და საბეჭდი მანქანის გამოგონებას უკავშირდება.

მსოფლიოში ჩინეთი პირველი ქვეყანაა, სადაც წიგნის ბეჭდვა გამოიგონეს. *1040-48* წლებში მჭედელმა სახელად პი-შენმა, გამოიყენა თავისებური ასოთა წყობის პროცესი – თიხის ძელაკისგან გამოჭრილ იეროგლიფებს კუპრს უსმევდა, თიხის ფორმებში ამაგრებდა, ხოლო მათი გამოწვისას ფიჭვით მიმაგრებულ ფირფიტაზე ზემოდან ბრინჯის ქაღალდს აფარებდა და პრესის ქვეშ აქცევდა. მაგრამ თიხის ფირფიტები მალე ცვდებოდა, ანაბეჭდი ბუნდოვანი ხდებოდა და ზუსტი ფორმა ვერ მიიღებოდა. ამ ხერხმა ვერ ჰპოვა შემდგომი განვითარება, რადგან ჩინური დამწერლობა რთულია და უამრავი იეროგლიფებისგან შედგება.

1392 წელს კორეელებმა წარმოების გაუმჯობესების მიზნით, თიხის ლიტერები სპილენძით შეცვალეს. *1403* წელს იმპერატორ ტაი ტზუნგის ბრძანებით, კორეაში წიგნების ამ მეთოდით ბეჭდვა დაიწყო.

წიგნებში ჩანახატები წიგნის ბეჭდვის გამოგონებამდე დიდი ხნით ადრე გაჩნდა. ძველთაგანვე მინიატურებით ასურათებდნენ ხელნაწერ და გრავირებული ფორმიდან ამობეჭდილ წიგნებს. ეგვიპტის პირამიდებში ნაპოვნია ჩვენს ერამდე II ათასწლეულში პაპირუსზე დაწერილი ხელნაწერი „მიცვალებულთა წიგნი“, რომლის ტექსტი სხვადასხვა ფერის საღებავებით შესრულებული ნახატებით იყო დასურათებული.

ევროპული წიგნის ბეჭდვის ისტორია XV საუკუნიდან იღებს სათავეს, როდესაც პირველი ნაბეჭდი გამოცემები გამოჩნდნენ. თავდაპირველ წიგნებში ძირითადად პრიმიტიული ილუსტრაციები იყო მოცემული, არც თუ ისე დიდი ტექსტური ახსნა განმარტებებით, რომლებიც დაბალი განათლების მქონე აუდიტორიისთვის იყო განკუთვნილი.

მას შემდეგ რაც გუთენბერგმა ლითონისგან ჩამოსხმული ცალკეული ლიტერებით სარგებლობა დაიწყო, გრავიურას არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა. ტექსტი ლიტერებიდან იბეჭდებოდა, ნახატები კი კვლავინდებურად ხეზე ამოჭრილი ფორმებიდან. ამ წესს ქსილოგრაფია ეწოდება. "ბიბლია ღარიბებისთვის", "ადამიანის გადასარჩენად" ან "სიკვდილის ხელოვნება", წარმოადგენდნენ მთლიანი დაფების ანაბეჭდებს (ქსილოგრაფია). ქსილოგრაფიულ წიგნებს ფართო გასავალი ჰქონდათ, მაგრამ თავად წიგნების ბეჭდვასთან არაპირდაპირი დამოკიდებულება. რადგან ბეჭდვით დაფებს არ შეეძლო დიდი რაოდენობით ეგზემპლარის უზრუნველყოფა, ხის ფორმა კი იცვითებოდა. ქსილოგრაფიული ხერხით წიგნების გამოცემა *1530* წლამდე წარმოებდა.

ჟურნალისტიკა ამ სიტყვის თანამედროვე გაგებით იოჰანეს გუთენბერგის გენიალურ გამოგონებას უკავშირდება.

ცალკეული ფორმებისგან შემდგარი წიგნის ბეჭდვის გამოგონება, გერმანელ ტიპოგრაფს ქალაქ მაინციდან იოჰანეს გუთენბერგს ეკუთვნის. მისი მამის გვარი გენსფლაიშია, მაგრამ მან უპირატესობა დედის გვარს მიანიჭა. ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი მან სტრასბურგში გაატარა, სადაც ნახევრად ძვირფასი ქვების და სარკეების გასუფთავებით იყო დაკავებული. ზოგიერთი მკვლევარის აზრით, ეს სარკეები ქსილოგრაფიას გულისხმობს. თავისი გამოგონების იდეის საბოლოო მოხაზულობა მან სტრასბურგში დაამუშავა. მან ლითონის ლიტერები დაამზადა, მათგან საბეჭდი ფორმა შექმნა და წნეხის გამოყენებით ქაღალდზე ერთი ტიპის მრავალ ჯერადი ანაბეჭდი მიიღო. მან მოახერხა ლითონისგან ისე ჩამოესხა თითოეული ასო, რომ ბეჭდვის დღევანდელი ხარისხი მიეღო გუთენბერგს მთელი ოცი წელი დასჭირდა იმისთვის, რომ გაეუმჯობესებინა ასოების ჩამოსხმის პროცესი, სწორედ განელაგებინა ისინი წნეხზე, დაეხვეწა მელნის (რომელიც ასევე მან შექმნა სელის თესლის ზეთოვან ლაქში განზავებული ლამპის ჭვარტლისგან) შემადგენლობა და ყველა ეს კომპონენტი პრაქტიკულ სისტემად გადაექცია.

1445-47 წლებში გამოიცა პირველი ნაბეჭდი გამოცემები, რომლებიც ძირითადად – კალენდრებსა და ცალკეულ ფურცლებს წარმოადგენდნენ. გამოცემებში არც გუთენბერგის სახელი და არც გამოცემის ადგილი არ არის მითითებული, ამიტომაც ზუსტ ატრიბუციასა და თარიღზე სხვადასხვა ვერსიები არსებობს. *1448* წელს მაინცში გუთენბერგმა სესხად 150 გულდენი აიღო და განაგრძო საბეჭდი დაზგის ყალიბზე ფორმების ჩამოსხმა და აწყობა.

ადრეული გუთენბერგისეული გამოცემებიდან შემონახულია "ფრაგმენტი საშინელ სიმართლეზე", ორივე მხრიდან დაბეჭდილ

იოჰანეს გუთენბერგი (1398-1468)

42 ბწკარიანი ბიბლიის გვერდი

სკრიპტორიუმი *– ხელნაწერთა დასამზადებელი სახელოსნო*

გრავიურა *– რაიმე მაგარი მასალის გლუვ ზედაპირზე ამოკვეთილი ნახატის ანაბეჭდი ქაღალდზე.*

ლიტერი *– პირობითი ასოთი აღნიშნული დოკუმენტი, ძირითადად ძველი ხელნაწერი.*

ილუსტრაცია *– ლათინური სიტყვაა, რაც განმარტებას, თვალსაჩინო გამოსახულებას ნიშნავს.*

ქსილოგრაფია *– ხის მასალაზე ამოჭრა, გრავირება.*

ფილიპიკა *– მკაცრი, მამხილებელი სიტყვა, გამოსვლა ვინმეს წინააღმდეგ.*



გუთენბერგის საბეჭდი დაზგა

გუნთენბერგმა ასევე შექმნა მელანწასმულ შრიფტზე წიგნების გვერდების და წნეხის საუკეთესო სისტემა. ეს იყო ხრახნისებრი წნეხი, რომელიც საუკუნეების განმავლობაში გამოიყენებოდა. ამ გამოგონების დახვწასაც კი რამდენიმე წლიანი ექსპერიმენტი დასჭირდა, რათა ტყავზე ან ქაღალდზე წნეხისათვის აუცილებელი წნევა მიეღო. გუთენბერგი დარწმუნებული არ იყო, რომ მისი პროდუქციით ხალხი დაინტერესდებოდა და მექანიკური წიგნი ფეხს მოიკიდებდა. მას ეშინოდა, რომ სზოგადო ება კვლავაც ხელით გადაწერილ წიგნს ამჯობინებდა.

რეგენტი *– მონარქიულ ქვეყნებში მეფის მცირეწლოვანების გამო, სახელმწიფოს დროებითი მმართველი.*

ფურცლებზე, რომლებიც წარმოადგენს ნაწყვეტს "სიბილას წიგნიდან" და ელია დონატას ლათინური გრამატიკა (რომლის ეგზემპლარები პარიზის ბიბლიოთეკაშია დაცული). მთლიანობაში პირველი ანაბეჭდები ბეჭდვის დაბალი ხარისხით აღინიშნება, რაც იმაზე მეტყველებს, რომ გუთენბერგი ჯერ კიდევ ეძებდა შრიფტის მისეულ მოდელს და ტექსტის ასაწყობად სხვადასხვა ექსპერიმენტს ატარებდა. გუთენბერგი, რომელიც არ გამოირჩეოდა დიდი საქმიანი ალღოთი, აქცენტს მაინც უფრო ხარიხზე აკეთებდა.

გუთენბერგის ცნობილი შემოქმედება ე. წ. 42 ბწკარიანი ბიბლიის გამოცემა (ნაგულისხმევია თითო გვერდზე 42 ბწკარი) გახდა, რომლის გამოჩენა წიგნის ბეჭდვის ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე სკანდალურ ამბავთან იყო დაკავშირებული. *1450* წელს მაინცში იოჰანეს გუთენბერგი თავისი ვექილის - იოჰანეს ფუსტასგან ვალად არც თუ ისე მცირე თანხას იღებს და ბიბლიის გამოშვებაზე იწყებს მუშაობას. შრიფტის მოწყობილობის დამზადებისთვის და ჩამოსხმისთვის საჭირო იყო დრო და *1452* წელს გუთენბერგი ფინანსური დახმარების მიზნით კვლავ ფუსტას მიმართავს და სანაცვლოდ საქმეში კომპანიონობას სთავაზობს.

1456 წელს ორტომეული – 42 ბწკარიანი ბიბლიის 200 ეგზემპლარი, რომლის I ტომი 648, ხოლო II ტომი 634 გვერდია დამთავრდა და ბეჭდვითი წიგნის ისტორიაში უტყუარი შედეგი გახდა, რომელიც იყო და დღესაც არის მსოფლიოში ბეჭდვითი ოსტატობის უმშვენიერესი ნიმუში და, რომელმაც გუთენბერგს ბევრჯერ გაუცრუა იმედი, რაც ვალის გადაუხდელობის გამო, ფინანსურ და სამართლებრივ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. იმავე პერიოდში დაიბეჭდა 36 ბწკარიანი ბიბლიაც.

ფუსტა (რომელმაც საჩივარი შეიტანა ვალის გადაუხდელობის გამო) – გუთენბერგის სასამართლო პროცესზე პეტერ შეფერმა, გუთენბერგის მოსწავლემ და წიგნების ყოფილმა გადამწერმა ფუსტას მხარე დაიკავა. გუთენბერგს ჩამოართვეს წნეხი, შრიფტი, გამზადებული ბიბლიის ეგზემპლარები და უფლება გამოგონებაზე. საბოლოოდ, დაბრმავებული და სრულიად უსახსროდ დარჩენილი გუთენბერგი იძულებული გახდა მიეტოვებინა ტიპოგრაფია და მაინციდან წასულიყო. მას აზნაურმა - ადოლფ ფონ ნასაუგმა გაუწოდა კეთილისმყოფელის ხელი და ყოველწლიური თანხა დაუნიშნა. ბრწყინვალე გამომგონებელი, რომლის გამოგონებამაც მსოფლიო შეცვალა *1468* წელს ყველასგან მივიწყებული გარდაიცვალა.

გუთენბერგისგან განსხვავებით ფუსტას და შეფერის ტიფოგრაფიული ფირმა ანონიმურ წიგნებს უშვებდა და სამარკო ნიშნის გამოყენება პირველად *1457* წელს „მაინცის ფსალტირში“ დაიწყეს. პეტერ შეფერმა - იმ პერიოდის ერთ-ერთმა უნიჭიერესმა შრიფტების მხატვარმა, ცოლად ფუსტას ქალიშვილი შეირთო. ის მოკლე დროში ტიპოგრაფიის ერთადერთი მფლობელი გახდა და სახელი თავისი პროდუქციის ხარისხით გაითქვა.

1462 წელს წიგნის ბეჭდვის გავრცელებისთვის თავისებური ბიძგი გახდა ქალაქ მაინციდან ებრაელთა მასობრივი გასახლება. გუთენბერგის ხელოსნები და მოწაფეები ევროპის სხვადასხვა ქალაქებში მიმოიფანტნენ, სადაც ტიპოგრაფიები დააფუძნეს და მომავალ თაობებს წიგნის გამოცემის ოსტატობას ასწავლიდნენ.

სტრასბურგში პირველი ნაბეჭდი წიგნი გახლდათ იოჰანეს მენტელინის მიერ *1460-61* წლებში ლათინურ ენაზე ორ ტომად გამოცემული ბიბლია. ხოლო *1466* წელს პირველი გერმანულ ენოვანი ე. წ. 49 ბწკარიანი ბიბლია, რომელიც მიუხედავად სუსტი თარგმანისა მაინც წარმატებული იყო. იოჰანეს მენტელინის სიძემ – ადოლფ რუშმა პირველად გერმანიაში შრიფტი „ანტიკვა“ შემოიღო და ტიპოგრაფიული საქმიანობის დაწყებით, გერმანული ჰუმანიზმის მამოძრავებელი ძალა გახდა.

გერმანელი ტიპოგრაფების არნოლდ პანარცისა და კონრად სვეინჰეიმის ძალისხმევით პირველი საბეჭდი დაზგა იტალიის ქალაქ სუბიაკოში წმინდა ბენედიქტეს მონასტერში დაიდგა. *1465* წელს მათ დაამუშავეს შრიფტი „ანტიკვა“, რომელიც იტალიური წიგნის ბეჭდვის ძირითად შრიფტად იქცა. მიუხედავად მატერიალური სირთულეებისა *1472* წლამდე პანარცმა და სვეინჰეიმმა შეძლეს 36 წიგნი გამოეშვათ. მალე ნაბეჭდი წიგნი რომში გამოჩნდა, სადაც მუშაობდა გერმანელი ტიპოგრაფი ულრიჰ განი, რომელმაც იტალიაში პირველად გამოუშვა წიგნი ილუსტრირებული გრავიურებით, ხოლო შემდგომ ვენეციაში, მილანში, ნეაპოლსა და ფლორენციაშიც დაიბეჭდა წიგნები.

1459 წელს ქალაქ მაინცის კურფიურსტმა, გრაფ ადოლფ II ფონ ნასაუმ (1423-1475) მაინცის არქიეპისკოპოსის თანამდებობაზე არჩევნებისას, ხმების მცირე განსხვავებით წააგო არჩევნები. რაც გახდა 1462 წელს ბადენ-პფალცის ომის მიზეზი. სადაც ცელსჰეიმის ზავით, ადოლფ ფონ ნასაუმ გაიმარჯვა. რითაც დასრულდა “თავისუფალ ქალაქ მაინცის” არსებობა. ადოლფ ფონ ნასაუ კვლავ მაინცის ეპისკოპოსი (1461-75) გახდა და აიძულა ყველა მის მოწინააღმდეგეს, მათ შორის ებრაელებს (რომელთა დიდი ნაწილი ხელოსნები-რომელთა შორის ტიპოგრაფები იყვნენ) მაინცი დაეტოვებინათ.

თუ გუთენბერგის საბეჭდი დაზგის გამოჩენამდე ევროპაში 30 000-მდე ხელნაწერი წიგნი არსებობდა, *1500* წლისთვის მათი რიცხვი 9 მილიონს უახლოვდებოდა. წიგნის ბეჭდვის დაწყებიდან ***1500 წლის 31 დეკემბრამდე გამოცემულ ყველა ნაბეჭდ წიგნს ინკუნაბული (ლათინური სიტყვიდან „ინკუნაბულა“ – აკვანში) ჰქვია.*** ანუ ახლა იმ პერიოდს, წიგნის ბეჭდვის აკვანი ეწოდება. ინკუნაბულები მკვეთრად განსხვავდებიან შემდგომში ქაღალდითა და შრიფტით გამოცემული წიგნებისგან, ვინაიდან პირველ მბეჭდავები წიგნებს ძალიან ამსგავსებდნენ ხელნაწერს.

იოჰანეს გუთენბერგის გამოგონებამ სათავე დაუდო მასობრივი კომუნიკაციის ხანას. რამაც დასავლური ცივილიზაცია მეცნიერებისა და გონის თანამედროვე ეპოქამდე მიიყვანა.

ამრიგად, ბეჭდვითი სიტყვა მასობრივი ინფორმაციის პირველი საშუალება გახდა და განაპირობა "ტიპოგრაფიული და ინდუსტრიალური ადამიანის" გამოჩენა.

პოლიგრაფიის განვითარებამ დიდად შეუწყო ხელი კულტურისა და მეცნიერების აღმავლობას, ხელოვნების განვითარებას და საერთოდ საზოგადოებრივი ცხოვრების წინსვლას. ლიტერთა გამოყენებით წიგნი ხელმისაწდომი გახდა მრავალთათვის. წერილობით ინფორმაციასთან უკვე შეხება ჰქონდა მათაც, ვინც საეკლესიო ელიტას არ მიეკუთვნებოდა. საკმარისია აღინიშნოს, რომ უკვე *1510* წლისთვის მარტო პარიზში 10 სტამბა არსებობდა.

კურფიურსტი *– ფეოალურ გერმანიაში მთვარი, რომელსაც უფლება ჰქონდა მონაწილეობა მიეღო იმპერატორის არჩევაში*

კაცობრიობის ისტორიის გადასახედიდან თუ ვიმსჯელებთ, უდავოა, წიგნი დღესაც ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო გამოგონებად რჩება. ენისა და ანბანის შემდეგ, კომუნიკაციის არცერთ ფორმას კაცობრიობის განვითარებაში ასეთი დიდი როლი არ შეუსრულებია.

იოჰანეს გუთენბერგის ძეგლი მაინცში

ნაბეჭდი წიგნი სწრაფი და ეფექტური საშუალება გახდა, რომელიც ხელს უწყობდა ერთი და იმავე ინფორმაციის ერთსა და იმავე დროს სხვადასხვა ადგილებში გავრცელებას. ამასთან კომუნიკაციის ეს ფორმა მხოლოდ ერთი მიმართულებით ხორციელდებოდა: ავტორისგან მკითხველისკენ. წიგნის ბეჭდვამ დიდი როლი შეასრულა რეფორმაციის დროს, როცა ბიბლია ყველასთვის ხელმისაწვდომი გახდა.

მარშალ მაკლუჰენის აზრით, ნაბეჭდი წიგნის გავრცელებამ სათავე დაუდო;

1. ნაციონალური ენების და ეროვნული სახელმწიფოების ჩამოყალიბებას და განვითარებას,

2. სამრეწველო და სამეცნიერო რევოლუციებს,

3. ინდუსტრიალიზაციას და განმანათლებელთა ეპოქას,

4. წიგნის წარმოებისა და გაფორმების მაღალმა დონემ, მისი მეშვეობით მკითხველთა წრის გაფართოებამ, ეკონომიკურმა და სოციალ-პოლიტიკურმა მოთხოვნილებებმა ნაყოფიერი ნიადაგი მოამზადა პერიოდული გამოცემების აღმოცენებისთვის. ჟურნალები და გაზეთები წიგნის წარმოების პირდაპირი გაგრძელებაა. ამიტომაც მათი ფუნქციები, ამოცანები ერთმანეთს შეერწყა და მათ